

შპს კრედიტ მენეჯმენტი

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს კრედიტ მენეჯმენტი

სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის

მდგომარეობით

თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნები	2020	2019
შემოსავალი	4	277,394	193,274
საპროცენტო ხარჯები	5	-988,187	-974,231
საერთო მოგება		-710,793	-780,957
სხვა შემოსავალი	6	465,863	917,475
ადმინისტრაციული ხარჯები	7	-366,609	-862,805
სხვა ხარჯები	8	-88,539	-459,595
ფინანსური დანახარჯები	9	-1,825	-4,018
რეზერვები	10		1,199,007
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	11	-1,163,851	-813,887
მოგება დაბეგვრამდე	12	-1,865,755	-804,781
მოგების გადასახადის ხარჯი	13	-	-
მიმდინარე წლის მოგება		-1,865,755	-804,781
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში		-7,687,032	-6,882,251
სხვა ცვლილება გაუნაწილებელ მოგებაში		-1,398,850	
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს		-10,951,637	-7,687,032

შპს კრედიტ მენეჯმენტი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები მოცემულია ლარში

		2020	2019	2018
აქტივები	შენიშვნები	353,206	2,295,932	4,176,394
მიმდინარე აქტივები		351,051	2,282,853	4,147,231
ფულადი სახსრები	14	323,178	763,413	2,444,725
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15	27,873	1,519,440	1,702,506
გრძელვადიანი აქტივები		2,155	13,079	29,163
ძირითადი საშუალებები	16	2,155	13,079	23,526
არამატერიალური აქტივები	17			5,637
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი				
მოკლევადიანი ვალდებულებები		4,269,653	3,825,724	4,280,166
სავაჭრო ვალდებულებები	18	9,024	140,232	1,381,529
გადასახდელი პროცენტი	20	4,260,629	3,685,491	2,893,277
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება		-	-	-
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების მიმდინარე ნაწილი	21	-	-	5,360
გრძელვადიანი ვალდებულებები		7,035,190	6,157,241	7,219,060
სესხი არარეზიდენტისგან	19	7,035,190	6,157,241	7,219,060
სულ ვალდებულებები		11,304,843	9,982,964	11,499,225
საკუთარი კაპიტალი		-10,951,637	- 7,687,032	- 7,322,831
გაუნაწილებელი მოგება		- 10,951,637	- 7,687,032	- 7,322,831
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		353,206	2,295,932	4,176,394

შპს კრედიტ მენეჯმენტი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერი

თანხები მოცემულია ლარში

	2020	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მიმდინარე წლის მოგება	-3,264,605	-804,781
კორექტირებები არაფულადი შემოსავლებისა და ხარჯების მუხლებით:		
გადახდილი მოგების გადასახადი	-	-
ძირითადი საშუალებების ცვეთა	9,910	10,446
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	-	5,637
 საინვესტიციო საქმიანობაზე მიკუთვნებული ფულადი ნაკადები:		
ცვლილებებისაოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება (ზრდა)	1,491,566	623,646
სავაჭრო ვალდებულებების ზრდა (შემცირება)	-131,208	-1,246,656
დაქირავებულ მომუშავეთა მოკლევადიანი და გრძელვადიანი გასამრჯელოების ვალდებულებების ზრდა		
<i>წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</i>	-1,899,677	-1,411,708
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
აქტივების რეალიზაცია	1,014	
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	1,014	
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
ნასესხები სახსრების ზრდა	1,453,087	-269,605
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	1,453,087	-269,605
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების წმინდა ზრდა (შემცირება)	(440,235)	(1,681,312)
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის დასაწყისისთვის	763,413	2,444,725
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის ბოლოსთვის	323,178	763,413
 (ა) ფულადი სახსრებით გადახდილი ფინანსური დანახარჯები	1,825	4,018
(ბ) ფულადი სახსრებით გადახდილი მოგების გადასახადი	-	-
(გ) მოიცავს სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეულ ზარალს	1,163,851	813,887

1. ზოგადი ინფორმაცია

კომპანია დაარსდა 2015 წელს საქართველოში, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, განსაზღვრული მეწარმეთა კანონის მიხედვით. 2015 წლიდან კომპანია ოპერირებდა საქართველოს ბაზარზე და ცდილობდა თავისი ადგილი დაემკვიდრებინა კონკურენტებს შორის.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა წარმოადგენს ვადაგადაცილებული სესხების შესყიდვა და შემდგომში დამუშავება.

კომპანიის სარეგისტრაციო მისამართი არის გუდიაშვილის 4, თბილისი 0101, საქართველო.

კომპანია სრულად ეკუთვნის 4 ფინანსის ჰოლდინგს. მთავარი დამფინანსებელი და კრედიტორი არის სწორედ ეს ჯგუფი. კომპანიის საქმიანობა სრულად დაფინანსებულია ჯგუფის წევრი კომპანიების მიერ.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ქართულ ლარში (GEL), ეს ვალუტა არის კომპანიის ფუნქციონალური და ასევე წარმოდგენლობითი ვალუტა. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში აღირიცხება ტრანზაქციის თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსით. ხოლო უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასების შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება შემოსავლებისა და ხარჯების ანგარიშგებაში.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებულია ეროვნული ბანკის მიერ წარმოდგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსების დახმარებით, რომლებიც 2019 წლისა და 2010 წლის ბოლოს არის შემდეგი:

	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
1 აშშ დოლარი/ლარი	3.2766	2.8677
1 ევრო/ლარი	4.0233	3.2095

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საწარმოს პრინციპების დაშვებით და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოების მიხედვით.

ფინანსური ანგარიშგებები შედგება სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგების, ფინანსური ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობების და განმარტებითი შენიშვნებისგან.

ამონაგების აღიარება

კომპანიის შემოსავლის ძირითად წყაროებს წარმოადგენენ : ვადაგადაცილებული პორტფელი, რომლის დამუშავების შედეგად კომპანია იღებს შემოსავალს.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

კომპანიას სესხი აქვს აღებული დაკავშირებული მხარისგან, რომელსაც იყენებს საოპერაციო მიზნებისათვის და პორტფელების შესაძენად.

მოგების გადასახადი

ვინაიდან კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება მოგების გადასახადის კუთხით ის ხელმძღვანელობს 2016 წლის 13 მაისის კანონით საქართველოს საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილებების შესაბამისად. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კომპანიას არ გაუცია დივიდენდი, არ გაუწევია ხარჯი

რომელიც არ იქნებოდა დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან, არ გაუწევია ზღვრულ ოდენობაზე მეტი წარმომადგენლობითი ხარჯი და კლიენტებისთვის არ გაუწევია მომსახურება უსასყიდლოდ. შესაბამისად მის მიმართ წარმოქმნილი საგადასახადო დავალიანება ამ ნაწილში ნულის ტოლია.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების აღრიცხვა ხდება დაგროვილი ცვეთის ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენ ღირებულებაზე წრფივი მეთოდის გამოყენებით. ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

მანქანა-დანადგარები და მოწყობილობა - 20 პროცენტი

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქვტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში.

საგაჭრო და სხვა მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები არაწარმოებული ფინანსური აქტივებია ფიქსირებული ან განსაზღვრული გადასახადებით, რომელიც არ არის კორექტირებული აქტიურ ბაზარზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კომპანია:

- აპირებს გაყიდოს დაუყოვნებლივ ან უახლოეს ვადებში;
- თავდაპირველი აღიარებისას განსაზღვრავს სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის საფუძველზე;
- თავდაპირველი აღიარებისას, განსაზღვრავს როგორც გასაყიდად გამიზნული;
- შესაძლებელია ვერ აღიდგინოს არსებითად ყველა მისი საწყისი ინვესტიცია, გარდა კრედიტისა გაუარესება.

გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები

გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებიც განკუთვნილია როგორც გასაყიდად ხელმისაწვდომი, არ არის კლასიფიცირებული სესხებისა და დებიტორული დავალიანების სახით, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები ან ფინანსური ინსტრუმენტები სამართლიანი ღირებულებით

ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, რომელსაც ყველა კარგად ასახავს ტრანზაქციის ფასი. სარგებელი ან დანაკარგი თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ მაშინ თუ არსებობს სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ტრანზაქციის ფასს შორის.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

3. დივიდენდის გადახდის შეზღუდვა

კომპანიის შიდა პოლიტიკის მიხედვით არ აქვს რაიმე სახის შეზღუდვა დივიდენდების განაწილებაზე.

4. შემოსავალი

	2020	2019
შემენილი აქტივებიდან მიღებული თანხების შესაბამისი შემოსავალი	277,394	192,274
	277,394	192,274

5. საპროცენტო ხარჯები

	2020	2019
საპროცენტო ხარჯები	-988,187	-974,231
	-988,187	-974,231

6. სხვა შემოსავალი

	2020	2019
გაყიდული აქტივებიდან მიღებული შემოსავალი	465,863	917,475
	465,863	917,475

კომპანიამ 2019 წელს გაყიდა დასამუშავებელი პორტფელის დიდი წილი მესამე მხარეზე, თუმცა ვინაიდან 2018 წელთან შედარებით, უფრო მცირე პორტფელს ფლობდა, არასაოპერაციო შემოსავლის ამ ნაწილმა განიცადა შემცირება.

7. ადმინისტრაციული ხარჯები

	2020	2019
შრომითი ანაზღაურება	-90,995	-376,062
საკონსულტაციო მომსახურება	-160,361	-238,620
აიტი დანახარჯები	-84,420	-211,162
იჯარა	-28,322	-31,525
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	-2,512	-5,435
	-366,610	-862,805

8. სხვა ხარჯები

	2020	2019
სესხების დამუშავების ხარჯი	-32,911	-341,796
დავალიანების დაგვიანებით დაფარვის ხარჯი		-
ცვეთა	-9,910	-16,083
საოფისე ხარჯი	-6,027	-21,286
მივლინების ხარჯი	-	-
სხვა ხარჯები	-39,691	-80,663
	-88,539	-459,595

ვინაიდან კომპანიამ შეამცირა სესხების დამუშავება 2020 წლის განმავლობაში, შესაბამისად შემცირდა სესხების დამუშავების ხარჯიც.

9. ფინანსური დანახარჯები

	2020	2019
ბანკის საკომისიო	-1,825	-4,018
	-1,825	-4,018

10. რეზერვები

	2020	2019
რეზერვები		1,199,007
		1,199,007

11. სხვა არასაოპერაციო ხარჯები

	2020	2019
ზარალი სავალუტე გადაფასებიდან	-4,496,984	-462,820
მოგება სავალუტე გადაფასებიდან	3,333,133	351,067
	-1,163,851	-111,752

12. მოგება დაბეგვრამდე

	2019	2020
შემოსავალი	277,394	193,274
საპროცენტო ხარჯები	-988,187	-974,231
საერთო მოგება	-710,793	-780,957
სხვა შემოსავალი	465,863	917,475
ადმინისტრაციული ხარჯები	-366,609	-862,805
სხვა ხარჯები	-88,539	-459,595
ფინანსური დანახარჯები	-1,825	-4,018
რეზერვები		1,199,007
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	-1,163,851	-813,887
მოგება დაბეგვრამდე	-1,865,755	-804,781

13. მოგების გადასახადის ხარჯი

	2020	2019
მიმდინარე გადასახადი	-	-
გადავადებული გადასახადი	-	-
	-	-

14. ფულადი სახსრები

	2020	2019
ფულადი სახსრები ბანკში	323,178	763,413
	323,178	763,413

15. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2020	2019
მოთხოვნები კლიენტებისაგან		36,108
მოთხოვნები დებიტორებისგან		1,483,331
სასაგადასახადო ზედმეტობა	27,873	0
	0	1,519,440

16. ძირითადი საშუალებები

	მანქანა დანადგარები და მოწყობილობა	სულ
1 იანვარი 2020	52,411	52,411
შემოსვლა	-	-
გასვლა	6,355	6,355
31 დეკემბერი 2020	46,055	46,055
1 იანვარი 2020	-39,331	-39,331
წლიური ცვეთა	-9,910	-9,910
გაუფასურება	-	-
გამოკლებული გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	5,341	5,341
31 დეკემბერი 2020	-43,900	-43,900
საბალანსო ღირებულება		
31 დეკემბერი 2020	2,155	2,155

17. არამატერიალური აქტივები

1 იანვარი 2020	10,250
შემოსვლა	
გასვლა	
31 დეკემბერი 2020	0
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება	
1 იანვარი 2020	-10,250
წლიური ამორტიზაცია	-
31 დეკემბერი 2020	-10,250
საბალანსო ღირებულება	
31 დეკემბერი 2020	0

18. სავაჭრო ვალდებულებები

	2020	2019
სავაჭრო ვალდებულებები დაკავშირებულ მხარესთან	296	28,718
სხვა სავაჭრო ვალდებულებები	8,728	66,800
სულ	9,024	1,381,529

19. სესხი არარეზიდენტისაგან

	2020	2019
სესხი არარეზიდენტისაგან	7,035,190	6,157,241
	7,035,190	6,157,241

2020 წელს მსოფლიოში წარმოქმნილი ახალი კორონავირუსის პანდემიის გამო ეროვნულმა ვალუტამ განიცადა გაუფასურება დოლარის მიმართ, რის გამოც დოლარში არსებული ვალდებულებები საგრძნობლად გაიზარდა.

20. გადასახდელი პროცენტი

	2020	2019
გადასახდელი პროცენტი	4,260,629	3,685,491
	4,260,629	3,685,491

21. დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების მიმდინარე ნაწილი

	2020
ვალდებულება 2020 წლის 1 იანვრისათვის	966,31
დამატებითი დარიცხვა წლის განმავლობაში	110,937
გასამრჯელოების გადახდა წლის განმავლობაში	111,903
ვალდებულება 2019 წლის 31 დეკემბრისათვის	-

22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2021 წლიდან კომპანიაში შეწყვეტილია აქტიური ოპერაციები, თუმცა აქ დაგროვებულ ცოდნასა და გამოცდილებას დამფუძნებლები იყენებენ საზღვარგარეთ არსებულ საკუთარ კომპანიებში, რომლებიც ანალოგიურ საქმიანობას ეწევიან.

23. დაკავშირებული მხარეთა ოპერაციები

	2020	2019
	მეკავშირე საწარმო	მეკავშირე საწარმო
სესხი არარეზიდენტისგან	7,035,190	6,157,241
სავაჭრო ვალდებულებები	8,728	28,718
გადასახდელი პროცენტი	4,260,629	3,685,491

24. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული არის დირექტორის მიერ 2021 წლის 30 სექტემბერს.

20. გადასახდელი პროცენტი

	2020	2019
გადასახდელი პროცენტი	4,260,629	3,685,491
	4,260,629	3,685,491

21. დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების მიმდინარე ნაწილი

	2020
ვალდებულება 2020 წლის 1 იანვრისათვის	966,31
დამატებითი დარიცხვა წლის განმავლობაში	110,937
გასამრჯელოების გადახდა წლის განმავლობაში	111,903
ვალდებულება 2019 წლის 31 დეკემბრისათვის	0

22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2021 წლიდან კომპანიაში შეწყვეტილია აქტიური ოპერაციები, თუმცა აქ დაგროვებულ ცოდნასა და გამოცდილებას დამფუძნებლები იყენებენ საზღვარგარეთ არსებულ საკუთარ კომპანიებში, რომლებიც ანალოგიურ საქმიანობას ეწევიან.

23. დაკავშირებული მხარეთა ოპერაციები

	2020	2019
	მეკავშირე საწარმო	მეკავშირე საწარმო
სესხი არარეზიდენტისგან	7,035,190	6,157,241
სავაჭრო ვალდებულებები	8,728	28,718
გადასახდელი პროცენტი	4,260,629	3,685,491

24. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული არის დირექტორის მიერ 2021 წლის 30 სექტემბერს.

